# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 710
დამატების № 127
კვირა, 30 ოქტომბერი 1916 წ.




ლოტბარი ძ. ლოლუა და მეგრელ მომღერალთა გუნდი
(ახ. სენაკი).

## უფსკრულის თავზე

დრამატიული პოემა ერთ სურათად.

(დასასრული *)

**დავითი.**

რატომ არ მჯერა?—ელვოლან ფიქრით,
როგორც მშვილდიდან დასხლეტილ ისრით,
გაჰვკვეთე სივრცე, ნალები გიშრით.
მივქროდი შორს, შორს, ავიჭერ ზემო
და რა ვიხილე ჩემს გარეშემო?
ზღვა შუქის ნაცვლად—ზღვა სიბნელისა,
ცეცხლის მაგიერ—მზარავი ყინვა,
და ყურში, როგორც შხამი გველისა,
მეწვეთებოდა მსოფლიოს გმინვა.
იქ უთვალავი ვარსკვლავებია,
რიცხვით უზომო ჰკრთიან ცთომილნი,
და ზარ დამცემი შიშით კრთომილნი
მის წინ, ვისაც ვერ გამკლავებია
ვერც ერთი არსი ქვეყნად შობილი,—
მიისწრაფიან დასტათწყობილი...
გარბიან სადღაც, ეძებენ ხსნასა,
მაგრამ სიკვდილი ულობავთ გზასა;
სულს შეუბერავს—სწრაფად ჰკვდებიან,
იმათ მაგიერ სხვები ჩნდებიან,
მაგრამ იმათაც იგივე ელით—
ილუპებიან ულმობელ ხელით.
ასე სიკვდილი, მკაცრი სიკვდილი
დაჰქრის, დაელავს მახვილ მიწვდილი!
თვით უკვდავია, და უკვდავებას
არ ინდობს არსად თავის გარეშე;
სისხლით დამთვრალი და მოთარეშე,
ლამობს მსოფლიოს დასაფლავებას!
მთელი სამყარო მისი ბაღია,
ის არის მისი მეუფე მტკიცე,
მის ხელში ორი იარაღია:
უსაზღვრო დრო და უსაზღვრო სივრცე!
და თავის ბაღი საწუთროების
იმას ამ ორი უსაზღვროების
მიუწდომ ფარგლით შეუკლია,
და, რაც ამ ბაღში აყვავილდება,
რაც იმის ფარგლებს ვერ გასცილდება,
მისი ზვარაკი, მისი მსხვერპლია!..
მტკიცედ ვიწამე მე ეს ყოველი,
მაგრამ ეს რწმენა, სისხლის მწოველი,

*) იხ. სურათებიანი დამატება № 126.

სჯობს რომე ღვინო დავსძლიოთ. *)



სარაილი, მოკავშირეთა ჯარის უფროსი სალონიკის რაიონში.

მე ბნელ ღარტაპში როდი მიგრძვნია.
საწუთროც შენებრ არ შემიცვნია
მე მარტო მზერით, მარტო თვალებით.
არა! უზომო ტანჯვა-წვალებით
მოვსულვარ აქ მე!..

**ლევანი.** (დაწეული, მწუხარე კილოთი).
ჰო, შორს წასულხარ...

და მერე აგრე... აგრე დადიხარ... (გაიხედავს მარჯვნით).

იფიქრე კარგად, აბა რა ჰქენი!
გამოგიტყდები, სჯობს, გულნატკენი:
შენ სიცოცხლისთვის აღარ ვარგიხარ.
სჩანს შენი სული ყველაფერს ელტვის,
არ დარჩენილა ამ ქვეყნად შენთვის
წმინდა საუნჯე, ლოცვის საგანი,
რაც კი გულს ალხენს და გრძნობით ათბობს..

(კიდევ იქითკენ გაიხედავს).

სიცოცხლეს უფრთხი, სიკვდილი გაკრთობს...
ეს არ იქნება, ერთი მათგანი
აუცილებლად მიიღო უნდა...

(გაიწევს მარჯვნით, საითკენაც ლაპარაკის დროს დროგამოშვებით იმზირებოდა და მოუსვენრად ჩასცქეროდა ქვევით კლდეებს, რომელნიც სცენაზე არ მოსჩანან).

ვერ გამოვიდა, ისევ გაბრუნდა,
მაგრამ უკანაც რომ ველარ გადის!
წავალ ვუშველი, არ გადავარდეს.

(ჩქარი ნაბიჯით ჩაივლის და მიიმალება).

**დავითი** (მარტო).

ეს მართალი სთქვა. ერთი და ერთი
უნდა მივიღო აუცილებლად:
ან ეს ცხოვრება, ეს ჯოჯოხეთი,
ან საუკუნო შესარიგებლად
თვითონვე მივსცე მე სიკვდილს ხელი.
სიცოცხლისაგან აწ რაღას ველი?
მისი შხამ-გესლი და სიმახინჯე
მე აქამდენაც კარგად გავსინჯე;
კმარა, მეყოფა ტანჯვა ამდენი!
როგორც ნადირი დაღლილი რბენით,
მძიმედ დაჭრილი და სისხლ ნადენი,
ჩაიკეცება, თავს წასდებს ქშენით
და პირ-დაღებულს მოვარდნილ ქოფაკს
შესცქერის, როგორც მხეცსა და ქომაგს,—
აგრე, დაქანცულს და ღონე მიხდილს,
მომდევენ უკან ღრენით მხეცები,
და—ჰა! მეც აგერ ჩავიკეცები,
და წინ შავ ლანდად ამართულს სიკვდილს,
როგორც ერთად ერთს მშველელს და მხსნელსა,
მე დამშვიდებით გაუწვდი ხელსა.
ეგებ მალირსოს მან მოსვენება,
ვიზედაც ფიქრი სისხლს მიყინავდა,
ვისიც სასტიკი, მკაცრი ჩვენება
მე სიყრმიდანვე თავს დამფრინავდა!...

(გაფითრებული, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით მიდის მარცხნით, ჩაუყვება ფერდობს და მიიმალება... მოისმის კლდეზე დაგორებულ ქვების და როჭკის ხრიალი და შემდეგ მდინარის ტალღების მძიმე და ყრუ ტყლაშუნი... მარჯვნიდან ამოდიან ლევანი და ახალგაზდა 10—12 წლისა. ლევანი დასავლეთისკენ აშვერს ხელს და აღტაცებული გასცქერის ჩამავალ მზეს. ზარების ნელი და საამო რეკა არღვევს სიჩუმეს. პირდაპირ კლდიდან, რომელიც თითქმის სულ მწვანედ არის შეფოთლილი და, მაშასადამე, გარედან არაფერი ემჩნევა, გამოდის „თეთრი ბერი“ იგი მართლაც სულ თეთრია, ახოვანი და დიდებული სანახავი. როგორც კი თვალს მოჰკრავენ მას, ლევანი და ახალგაზდა საჩქაროდ ბუჩქს ამოეფარებიან და ფარულად ადევნებენ თვალს).

**„თეთრი ბერი“** (დაიჩოქებს ტერასის შუაგულზე და ლოცულობს)
ცისა და ქვეყნის შემომქმედო, მორჭმულო ძალით,



† ავსტრიის მინისტრ პრეზიდენტი შტიურკი (მოჰკლა ადლერმა).

# სამხედრო თათბირი ლომში



**ფეხზე დგანან:** ბიულოვი, მაკენზენი, მოლტკე, გერმ. კრონპრინცი, ფრანსუა, ლიუნდორფი, ბეზელერი, ემიხი... ბეტმან ჰოლვეგი.

**სხედან:** ბავარიის მემკვიდრე, ვიურტემბერგის ჰერცოგი, კლიუკი, ფალკენჰ იმი, ეინემი, ჰინდენბურგი და ტირპიცი.

**მაგიდის წინ** იმპერატორი ვილჰელმი.

იდიდოს მარად და იკურთხოს სახელი შენი!
ცოდვილ ქვეყანას გადმოხედე მოწყალე თვალით
და კაცთ მოჰმადლე სათნოება და სიამენ !
გადმოაფლინე მადლი შენი შუქ დ გამდნარი,
შუა გაჰკვეთე და გაჰფანტე წყვდიადის რიდე.
ვით კურთხეული ეს სალამო მშვიდი და წყნარი,
სული, ღელვილი ბოროტ ზრახვით, შენ დაამ-
შვიდე!..
განუცხოველე შვილთა შენთა გონება, გრძნობა,
რომ ადვილ ექმნათ, უხილავო, შენი შეცნობა.
შენს სიყვარულში ელოსება მათ გულს გან-
წმენდა...
**დიდება შენდა, მადლმოსილო, დიდება შენდა!..**

(ათავებს ლოცვას და შედის ისევ კლდეში. ლევანი და ახალგაზრდა გამოდიან).

**ახალგაზრდა.** (განცვიფრებული).
რა კარგი იყო!

**ლევანი.** (მოეჩქარება).
წავიდეთ მალე.

**ახალგაზრდა.** (უკან ჩამორჩენილი).
როგორი თეთრი და რამსომელე!

**ლევანი.**
აი, საცაა მზეც ჩავა აწი.

**ახალგაზრდა.**
ის სად წავიდა, მეორე კაცი?
თქვენთან რომ იდგა?

**ლევანი.**
ვინა? დავითი? (ათვალიერებს).
რა იქნა მართლა?.. სწორედ არ ვიცი...
ალბად, თუ სადმე ჩავიდა ქვევით.

**ახალგაზრდა.**
და მერე ჩვენ რომ მივდივართ ზევით?



**პოდპორ ნ. ს. იოსელიანი**
(დაჭრილია).

**ლევანი.**
ჰო, ჰო, მივდივართ, წამოდი ჩქარა,
თორემ ეს არის მზეც ჩაგვეპარა.
შეხედე, შუქი როგორ გაიბნა!
ასეთ სანახავს ვერ ვნახავთ სხვა დროს.
(ჩქარის ნაბიჯით მიდის ზევით).

**ახალგაზრდა.**
მერე დავითი? იმან არ ნახოს?
მე დავუძახებ. (გადაადგება მარცხნით ფერდობს).

**დავით!** (გაკვირვებული) რა იქნა?..
(საჩქაროდ შეტრიალდება და მისდევს უკან ლევანს).

**ფ ა რ დ ა.**

კ. ჭიჭინაძე.

# სილუეტები

მატილდა სერაოხი.

იმ გოგონას ნერინას ეძახიან. სახელი პოეტურია და ნაზი, მგოსან ლეოპარდის რომ უყ არდა. პოეზიის ნაზი ბეჭედი აზის მთელ მის მაღალ და საროსტანსა. რბილი, წაბლისფერი თმა, კულულ-კულულ რომ გრძლად ჩამოშვებია, აქეთ-იქით მიწეულა და ფართო, თეთრი, ბრძნული შუბლი უჩანს, ისეთივე ფიქრის ბეჭედ დასმული, როგორც დიდი, შავ-ჟუჟუნა თვალები, ეგვიპტურად რომ არის მოხაზული. თვალი ნათელი აქვს, მშვიდი, ისეთი ღრმა, ღრმა, რომელზეც ცოტაოდენი თვალ-მოკლე ადამიანი იტყვის ხოლმე—მეოცნებეა, მომხიბვლელიაო. სახე სწორი აქვს, ნაზი, უკვე დასრულებული, პატარა პირი კი ისევ ბავშვისა აქვს პაწია, ვარდისფერ ტუჩიანი. ხელოვნურ ღიმილს ბაგე იგი ვერ ახერხებს, ტუჩები კი იმრიზება, თუ აჯიინიანდნენ, ეწყინათ რამე, ან ნერინა სტირის. ხმა ნელი აქვს, მკაფიო, კაეშანი კი ემჩნევა ცოტაოდენი, რომ ლაპარაკობს—თითქოსა ჰფიქრობსო. ნერინას უყვარს ყურის დაგდება და როცა უსმენს ვისმე, პაწია თავს გვერდზე გადააგდებს, შესცქერის სურ დღებიანი თვალით, სქელი, შავი წარბები რომ წამოჰფარებია ზედ; პაწია პირი ნახევრად გაღებია. ხანდისხან მოქანცული, ალერსით ეკვრის დედას ან მამას მხარზე, ხელებჩაშვებული თავის უცნაურ წამოსასხამზე, თვის სწორ ნაოჭებით რაღაც მისტიურ-ბიზანტიურს რომ წარმოადგენს. ყველაფერი უყვარს ნერინას, რაც კი ფიქრსა და წარმოდგენას ეხება. უყვარს, ძლიერ სასტუმრო ოთახის კუთხეში დიდხანს წიგნის კითხვა, უყვარს სულით, გულით სალიტერატურო ბაასი, მოხიბლულია, სურათს რომ უცქერის. ერთხელ Excelsior-ის ბალეტის ლამაზმა სიჭრელემ დაათრო ის, მეორეჯერ—ვენეციაში, წმ. მარკოსის მოედანზე, თვალზე ცრემლით ემუდარებოდა მამას—ნუ წამიყვან ამ ტურფა ქალაქიდანაო. მახვილი გონება აქვს, სწრაფად ითვისებს, მგრძნობიერება, შერჩევის გემოვნება სჭარბობს მასში გონიერებას და აზროვნებას, მაგრამ ხანდისხ ნ გაკვირვებთ ბავშვის ლამაზი გულუბრყვილობით. საერთოდ ის სადაა, ცოტა მორცხვი, ცოტა დადინჯებული და მშვიდი. მთლად განსახიერებაა რაღაცა სწორედ.

*

პატარა რუჯერო თვალებითა გხიბლავთ. შავია ეს თვალები, ჟუჟუნა, მსხვილი, ალერსიანი, მოცისფრო გულით და გრძელი, თითქმის ქალური წამწამებიანი. უცნაური კია ეს თვალები. ხან დაცინვის ნაპერწკლებს გესვრიან, ხან ამაყია და ჩაფიქრებული; ნელა, ნელა გიმზერთ ის, თითქოს რაღაზეც გაუჩერებია თვალი დიდხანს და ეხლა ძლივს აშორებსო. თითქოს მოქანცულია იმის თვალი მიმზიდველი, ხანდისხან ნახევრად ეფარება გუგას ქუთუთო. ეს ბავშვი შავგვრემანია, გაფურჩქვნილი და მხურვალე. თმა შუბლზე ჩასქელებია; წარბი შავი აქვს და ვიწრო, პირი ნათელი, წითელი ვით მიხაკი. მოშავო, შიშველი კისერი მეზღვაურულ საყელოში, მოშავო, შიშველი, სუსტი ფეხები. ნაზს, მრგვალს პირისახეს თითქოს სჩრდილავს ის უცნაური თვალები, რომ გაკრთობთ, თვალს ძირს გახრევინებთ, რადგან ძალუმია მათი მომხიბვლელობა. უცნაურია, სწორედ უცნაური ის თვალები! ჟამ და ჟამ გეჩვენებათ, რომ შემოგჩერებიათ ანდალუზელის წამოსასხამში გახვეულ არაბის თვალი. ასეთივე უცნაური ხასიათი აქვს იმ ბიჭუნიას. არა სურს, რომ იმასა ჰკოცნიდნენ, და თვითონაც არას დროს არა ჰკოცნის ვინმეს. თუ გამოელაპარაკებით მას, როგორც ბავშვს, ის დინჯად შემოგხედავთ, გაბრუნდება და წავა. სათამაშოებს არა ნდომობს უნდა ელაპარაკოთ მას დინჯად, ჭკვიანურად და დამშვიდებული, როგორც დიდს, მაშინ ისიც ისე მოგიგებთ მშვიდად და გიამბობთ ზოგიერთ თავის ღრმა ფიქრზე. ტყუილად ნუ სხდებით მას ზღაპარი მოუყვეთ. ის თვითონ მოგიყვებათ, ვგონებ შეგითხზავთ კიდეც. თქვენს წინ უძრავად გაჩერდება, ჩ ფიქრებული დაიცქირება ფეხსაცმელის წვერებზე, პაწია თითს პირზე მიიდებს და ხმა-დაბლა დაგიწყებთ იგავ-არაკს, ზღაპარს ან მოთხრობას. ხანდისხან მოწყალებასაც მოილებს, აგიხსნით ზოგიერთ რამეს ვრცლად, მავალითად, კაცი ჭამია ხანდისხან რად არის გულკეთილი, ან ეს გოგონა რად არის მართლაც კეთილი, მერე გააგრძელებს ისევ, იგონებს ათას რამეს, სთხზავს, ჰქმნის. თუ გააწყვეტინებთ, აირევა, უნდობი თვალით შემოგხედავთ, სასტიკად ყურადღებას არ მიაქცევს თქვენს კითხვას და ისევ ჩაგიბამთ ლაპარაკს. მაგრამ რაც ყველას სჭარბობს მასში—ეს ოცნება ფიქრი, ფიქრი წმინდა აღმოსავლეთური, ოცნებით სავსე, სჭარბობს აგრეთვე სიმტკიცე შეურყეველი და სიმამაცე. გეტყვით: „მერმის, როცა ნამდვილი ვაჟკაცი ვიქმნები, ცურაობას ვისწავლიო“.

ის უმცროსია, უმფროსი კი პაოლო, ქერა, ჩასქელებული, გალაჯლაჯებული ვით წითელი ვაშლი, ცისფერ, მორცხვი თვალებიანი, ცოტასა ლაპარაკობს, ხშირად დამშვიდებული იღიმება და რუჯეროს მფარველობაში იმყოფება. რუჯეროს პაოლოს ხელზე ხელი უკიდია, როცა სკოლაში მიადიან, უფრთხილდება ეტლმა არ გაიტანოს, ექომაგება მასწავლებლის წინაშე და გულში მაგრად იკრავს და ეუბნება—სუ, ნუ სტირიო.

*

ისინი დეიდაშვილები არიან და თუმცა არა ჰგვანან ერთმანეთს, მაინც ერთს მთელს შეადგენენ. ლაურას ოქროსფერი თმა ორ ნაწნავად გადაუგდია მხრებზე. ბეატრიჩეს—ნაცრის ფერს მიუგავს, თმა ძალიან ნაზი აქვს, ძლიერ წმინდა, მოუვლელია და კეფაზე დიდად შეუკონია. ლაურას თვალები ძლიერ ცისფერი აქვს, ცოტა მკაცრი, ოდნავ მოკეცილი. ბეატრიჩეს მკრთალი—ტრედის ფერი, ფართედ გაღებული, გაკვირვებული. ლაურას მომრგვალო სახე აქვს, დასრულებული, როგორც დედაკაცს, პირი სავსე, ვით სფინქსს, მდუმარე, გაუღიმარი. ბეატრიჩეს ბუტკუცუნა ლოყები, და როცა მხიარული იღიმება, ორი პაწია ორმო უკეთდება ბაგის აქეთ-იქით. ლაურას პაწია ფეხი აქვს ტურფა ბალთიან ფეხსაცმელში გამოწყობილია და აბრეშუმის წინდები, ბეატრიჩეს ფეხი გრძელია, ზურგ-მაღალი, ბავშვის ფეხსაცმელიანი. ერთმანეთს არა ჰგვანან, მაგრამ ერთი-მეორის დამატებაა და ვისაც უნახავს ბეატრიჩე, სურს ჰნახოს ლაურაც. მათ მუდამ ერთნაირად აცვიათ მკრთალი-ვარდისფერი ან მკრთალი-ცისფერი ტანისამოსი. ლაურას თხელი, ვერცხლის სამაჯური აქვს ხელზე, ბეატრიჩეს თითზე ლალის თვლიანი ბეჭედი. ლაურა უფრო დინჯია, ჩაფიქრებული, გიპასუხებთ მოკლედ, სწრაფად, მოსწრებული, ვით ქალი ბეატრიჩე უფრო მხიარულია, უფრო ბავშვი, ბავშვურად მოუფიქრებელი როცა გკითხავთ რამეს. ლაურას მუსიკა უყვარს და დადინჯებული ისმენს ხოლმე მას, ბეატრიჩე გატაცებულია პოეზიით. ლაურას მეტი გემოვნება აქვს, ბეატრიჩეს მეტი გატაცებულება. როცა მარტო არიან, ხელი-ხელს უკიდიათ და ერთმანეთისთვის მიუყრდვნიათ ქერა, ლამაზი თავები. იმათ თავისებური ლაპარაკი იციან, თავისებური სიტყვები აქვთ, მხოლოდ ისინი უგებენ ერთმანეთს ღიმილს, ჩურჩულით ნათქვამ სიტყვას, ჰაერში რომ სწრაფად მოჰკრავენ ხოლმე ყურს. ერთს ესმის მეორისა და ერთი-მეორის დამატებაა და გგონიათ—ისინი ერთი სულია, სული ლამაზი, სათნო, გონიერი, სული მგოსნური, ორად განსახიერებული:

ლაურად და ბეატრიჩედ.

ხანგანიძე.